განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 27 თებერვლის #1149 ბრძანების თანახმად საპროექტო ტერიტორიის ინტესივობის კოეფიციენტი განისაზღვრა კ2=3.3.
განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) მოსაკრებლის

გამოთვლა:

L – მიწის ნორმატიული ფასი
K2 - არსებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი
$K2_1$ - მოთხოვნილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი
S - მიწის ნაკვეთის ფართობი

X=L/k2($k2_1$-k2+ 20%)S

43/2.5 x(3.3-2.5-0.5)x2042 =10536.72ლარი

სულ გადასახდელია -10536.72ლარი

კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის თანხა10536.72ლარი გადახდილი იქნება 2016 წლის 20 ივნისს

ზურაბ ღარიბაშვილი

შპს „ჰაუს გრუპი“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1149

"27" თებერვალი 2015 წ.

ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონში №10ვ–ში, ნუცუბიძის IV მ/რ–ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №№01.14.02.009.016, 01.14.02.009.015), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 161-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 166-ე მუხლის მე-3 ნაწილის“, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2015 წლის 12 თებერვლის სხდომის №6 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონში №10ვ–ში, ნუცუბიძის IV მ/რ–ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №№01.14.02.009.016, 01.14.02.009.015), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=3,3.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი“. ტ/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში:GE09LB0125152101629130.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია